გადაწყვეტილება N 882021695353-03 (24.08.2021)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.882021695353; 18 აგვ 2021; განმცხადებელი: არჩილ მამაცაშვილი, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის II ჩიხი, N 5, ბინა 18). განცხადებით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე , მდებარე ქალაქი თბილისი, თენგიზ გაზდელიანის ქუჩა, N 11ბ (ზონა:თბილისი, სექტორი: ვაკე)

განცხადებაზე თანდართულია:

1. ხელშეკრულება იხ. 882021695315;

1. აღწერილობითი ნაწილი:.
,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს" წარედგინა განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე მდებარე, ქალაქი თბილისი, თენგიზ გაზდელიანის ქუჩა, N 11ბ, საკ. კოდი: 01.14.08.011.152.
დაინტერესებული პირის მიერ მითითებულია, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ერთვის 882021695315 განაცხადს. აღნიშნულ განაცხადზე წარმოდგენილია ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 10/08/2021, ნოტარიუსი ე. გვანცელაძე, რეესტრის N210844725, რომლის თანახმადაც უნდა განხორციელდეს მოთხოვნილი უფლების რეგისტრაცია. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში, მხარეთა რეკვიზიტების ველში, ქონების მიმღების უჩა მამაცაშვილის პირადი ნომერი დაფიქსირებულია შეცდომით (ნაცვლად 59001016392 უნდა იყოს 01717062528).
2. სამართლებრივი დასაბუთება:
,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისმე-3 პუნქტის თანახმად ,,მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად“, ხოლო ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ: განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.
3. დასკვნა:
ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებით წარმოსადგენია კორექტირებული ხელშეკრულება, რომელშიც სრულყოფილად და სწორად იქნება ასახული გარიგების მონაწილე მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.#2), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.